# პროკოფი (გოგი) ჩიკვილაძეს

ქიათურაში კარგად იცნობენ. ის ქიათურელია და მთელი მისი ცხოვრება სწორედ ამ რაიონს უკავშირდება. ბოლო რამდენიმე წელიწადია გოგი ჩიკვილაძე ქიათურის გამგებელია. კარგად იცნობს ქიათურელთა სატკივარს და რაიონში არსებული პრობლემების მოგვარება მისი ყოველდღიური საქმიანობაა.

ამბობს, რომ გასულ წლებთან შედარებით ქიათურაში ბევრი რამ შეიცვალა – მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, დამარცხდა კრიმინალი და კორუფცია. თუმცა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ძალიან უჭირს, დასაქმება და ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ჯერ კიდევ ბევრი ოჯახისთვის პრობლემაა. სწორედ ჯანდაცვა, დასაქმება და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა იქნება პრიორიტეტული საკითხები გოგი ჩიკვილაძისთვის ახალი მოწვევის პარლამენტში ქიათურის მაჟორიტარი დეპუტატის რანგში. ის დარწმუნებულია, რომ შეძლებს მეტი სარგებელი მოუტანოს მშობლიურ რაიონს და ამაში თავისი გამოცდილებისა და ქიათურელების მხარდაჭერის იმედი აქვს.

**გზა ყველა სოფელში, წყალი ყველა სოფელს, გაზიფიცირების დასრულება**



## დასაქმება
## ჯანდაცვა ყველას
## ძლიერი სოფელი
## 1000 ლარიანი ვაუჩერი

# 5

www.UNM.ge

ქიათურა

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

# მეტი სარგებელი ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

PX 4737/1
n 229/1573
ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ❤ საქართველო



*მიხეილ სააკაშვილი:*

• „შეუძლებელია, რომ სახელმწიფო არ ზრუნავდეს მოქალაქეების ჯანდაცვაზე. ამისთვის მარტო ახალი საავადმყოფოები არ კმარა. საავადმყოფო მუზეუმი არაა, რომ უბრალოდ დაათვალიერო. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისთვის ყველა მოქალაქის დაზღვევაა საჭირო. მხოლოდ ასე ნახავს ჩვენი ხალხი მეტ სარგებელს“.



*ვანო მერაბიშვილი:*

• „მე ვიცნობ ქართულ სოფელს, მე მიყვარს ქართული სოფელი, მე მივხედავ ქართულ სოფელს“.

• მე მესმის უმუშევარი ადამიანის გასაჭირის, როცა კაცმა არ იცი, ოჯახს ხვალ რა აჭამო. ასეთ დროს ძნელია რაიმე დაიჯერო, მაგრამ მე მაინც გავბედავ და ვეტყვი ჩემს მოქალაქეებს: როგორც კორუფცია და კრიმინალი დავამარცხეთ, ასევე შევძლებთ უმუშევრობის დაძლევას – ამაში ეჭვი არ მეპარება“.



*დავით ბაქრაძე:*

• „მაღალი ფასები განსაკუთრებით აწუხებს დღეს ჩვენს მოსახლეობას. ხელოვნურად ფასების აწევა დანაშაულია! ძალით დაწევა კი ბიზნესის გაკოტრებასა და ხალხის უსამსახუროდ დარჩენას იწვევს. ამიტომ 1000-ლარიანი ვაუჩერი რეალური სარგებელია ხალხისთვის. ყველა ოჯახი თავად გადაწყვეტს, სად უჭირს და სად სჭირდება სახელმწიფოს დახმარება“.

# მეტი სარგებელი ხალხს

დამკვეთი: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მის: კახეთის გზატკეცილი 45-ა. შემსრულებელი: შ.პ.ს. „...“; მის: ... 17 ...
ზომა: A 5; ტირაჟი: 4800 ც. თარიღი: 24.08.2012 წ.